



**სულხან-საბა ორბელიანის**  
უნივერსიტეტი

თბილისი

13 აგვისტო 2021 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 130-21**

**აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ**

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.21 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილი №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), “აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების” მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის, (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით) “უმაღლესი განათლების შესახებ” 2004 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 09 აგვისტოს №129-21 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილებისა (№ 01-21, 2021 წლის 13 აგვისტო) და შუამდგომლობის (№84, 2021 წლის 13 აგვისტო) საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 02 ივლისის №114-21 ბრძანებით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის და 2021 წლის 13 აგვისტოს ჩატარებული (ოქმი №01-21) ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე, დაინიშნონ:

**სამართლის ფაკულტეტი**

1.1 საკორპორაციო სამართლის (უპირატესად საჯარო და კერძო თანამშრომლობის) მიმართულებით, ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

**გიორგი უსტიაშვილი**

1.2 ანტიდისკრიმინაციული სამართლისა და ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართულებით, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე, აფილირების პირობით:

**ცისია ოქროპირიძე**

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირთან შრომითი ხელშეკრულების დადება დადგენილი წესით და ამ ბრძანებით განსაზღვრული ცვლილებების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ასახვა.
3. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

4. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.sabauni.edu.ge](http://www.sabauni.edu.ge)) განთავსება.
5. ბრძანება ძალაშია ოფიციალური წესით გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობის ორგანოში ბრძანების ოფიციალური წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (მის.: თბილისი, ვ. ქუთათელაძის ქ. №3).

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე